

გირავნობის უფლების შეწყვეტის რეგისტრაცია მოძრავ ქონებაზე

რას ნიშნავს გირავნობის უფლების შეწყვეტის რეგისტრაცია მოძრავ ქონებაზე?

მოძრავ ქონებაზე გირავნობის უფლების შეწყვეტის რეგისტრაცია არის ამ უფლების შეწყვეტის შესახებ მონაცემთა აღრიცხვა შესაბამის რეესტრში, რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებით.

ვის მიემართო მოძრავ ქონებაზე გირავნობის უფლების შეწყვეტის რეგისტრაციისათვის?

მოძრავ ქონებაზე გირავნობის უფლების შეწყვეტის რეგისტრაციისათვის მიმართეთ იუსტიციის სახლს. თან იქონიეთ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება (ელექტრონული განცხადება ივსება საბუთების მიმღები ოპერატორის მიერ);
2. თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
3. გირავნობის უფლების შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტი;
4. სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (გადახდა შესაძლებელია ადგილზე).

იმ შემთხვევაში თუ თქვენ ხართ დაინტერესებული პირის წარმომადგენელი მაშინ დამატებით წარმოადგინეთ სათანადო წესით დამოწმებული წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

ბოქსის ინფორმაცია:

კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება დამატებით მოთხოვნილ იქნეს ნებისმიერი დოკუმენტი ან ინფორმაცია, რაც აუცილებელია გადაწყვეტილების მისაღებად.

ვადა და საფასური:

მომსახურების ვადა	მომსახურების ტარიფი
დაუყოვნებლივ	30 ლარი